

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“  
მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების  
შესრულება;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლისათვის ქალაქ  
ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით  
მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო  
კლასიფიკაციის შესაბამისად;

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების  
წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების  
წყაროს წარმოდგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის  
შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო  
მაჩვენებელი შეადგენს 171,630.6 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 76,303.3 ათას ლარს. მათ შორის:

ქონების გადასახადი - 28,500.0 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადი - 47,803.3 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 34,000.0 ათასი  
ლარით: მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები  
ტრანსფერი - 34,000.0 ათასი ლარი;

- 2020 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო  
მაჩვენებელი განისაზღვრა 47,327.3 ათასი ლარის ოდენობით:

- საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა  
5,827.3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 570.0 ათასი ლარის მობილიზება;
  - დივიდენდები სახით დაგეგმილია 4,170.0 ათასი ლარის მობილიზება;
  - რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,070.0 ათასი ლარის ოდენობით.
  - საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 35,800.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:
    - ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 35,800.0 ათასი ლარის ოდენობით.
    - ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,700.0 ათასი ლარის ოდენობით.
    - შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1000.0 ათასი ლარის ოდენობით.
- არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 14,000.0 ათასი ლარით.

**პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 171,630.6 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 58.5% - 100,386.1 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:
  - შრომის ანაზღაურება - 23,573.0 ათასი ლარი;
  - საქონელი და მომსახურება - 41,667.4 ათასი ლარი;
  - პროცენტი - 5,610.7 ათასი ლარი;
  - გრანტები - 25.5 ათასი ლარი;
  - სუბსიდიები - 14,302.5 ათასი ლარი;
  - სოციალური უზრუნველყოფა - 9,607.9 ათასი ლარი;
  - სხვა ხარჯები - 5,599.1 ათასი ლარი;
- მთლიანი ასიგნებების 29.1% - 49,902.7 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე (შეძენაზე).
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 21,341.8 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 12,4%-ია.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

**ე) პროექტის ავტორი:**

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

**ინფორმაცია**  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილების შესახებ

(ათას ლარებში)

დასახელება	2020 წლის პროექტი (პირველი წარდგენა)	2020 წლის პროექტი (მეორე წარდგენა)	ცვლილება +/-
<b>შემოსულობები</b>	<b>158,460.6</b>	<b>171,630.6</b>	<b>13,170.0</b>
შემოსავლები	146,460.6	157,630.6	11,170.0
გადასახადები	76,303.3	76,303.3	
გრანტები	26,000.0	34,000.0	8,000.0
სხვა შემოსავლები	44,157.3	47,327.3	3,170.0
არაფინანსური აქტივების კლება	12,000.0	14,000.0	2,000.0
<b>გადასახდელები</b>	<b>158,460.6</b>	<b>171,630.6</b>	<b>13,170.0</b>
ხარჯები	99,271.9	100,386.1	1,114.2
შრომის ანაზღაურება	23,588.5	23,573.0	-15.5
საქონელი და მომსახურება	40,708.0	41,667.4	959.4
პროცენტი	5,610.7	5,610.7	
სუბსიდიები	25.5	25.5	
გრანტები	14,129.4	14,302.5	173.1
სოციალური უზრუნველყოფა	9,608.7	9,607.9	-0.8
სხვა ხარჯები	5,601.1	5,599.1	-2.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	37,846.9	49,902.7	12,055.8
ვალდებულებების კლება	21,341.8	21,341.8	
<b>ნაშთის ცვლილება</b>			

**ინფორმაცია  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელებული ცვლილების შესახებ**

**შემოსულობების ცვლილება**

(ათას ლარებში)

№	დასახელება	თანხა	შენიშვნა
<b>1</b>	<b>გრანტები</b>	<b>8,000.0</b>	
	სპეციალური ტრანსფერი აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	8,000.0	იზრდება აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის მოცულობა
<b>2</b>	<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>3,170.0</b>	
	დივიდენდები	3,170.0	გაიზარდა საპროგნოზო მოცულობა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები
<b>3</b>	<b>არაფინანსური აქტივები</b>	<b>2,000.0</b>	
	არამწარმოებლური აქტივები	2,000.0	გაიზარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მისაღები თანხის საპროგნოზო მოცულობა
<b>ჯამი</b>		<b>13,170.0</b>	

**გადასახდელების ცვლილება**

(ათას ლარებში)

პროგრამ. კოდი	დასახელება	თანხა	შენიშვნა
		საბიუჯეტო სახსრები	
<b>01 02</b>	<b>ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია</b>	<b>-55.2</b>	
	შრომის ანაზღაურება	-55.2	მცირდება ღონისძიების დაფინანსება (3 ერთეული შტატი)
<b>02 01 01</b>	<b>გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა</b>	<b>140.0</b>	
	ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა	140.0	იზრდება ღონისძიება (ქალაქში განლაგებული 366 კამერა)
<b>02 01 05</b>	<b>საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა</b>	<b>3,214.4</b>	
	გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა	-1,102.0	მცირდება ღონისძიების დაფინანსება (ღონისძიება აღნიშნული თანხით დაფინანსდა 2019 წლის ბიუჯეტით)
	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (მეოთხე ფაზის) ფარგლებში მიმდინარე წყლარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ დაზიანებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები	2,000.0	დაემატა ახალი ღონისძიება
	დ. სვიშვესკის ქუჩის კეთილმოწყობა; დ. სვიშვესკის I შესახვევის, I და II ჩიხის კეთილმოწყობა	500.0	დაემატა ახალი ღონისძიება (მრავალწლიანი შესყიდვა)
	აფსაროსის გზატკეცილის II შესახვევის N1-დან 23-მდე მონაკვეთის კეთილმოწყობა	319.3	დაემატა ახალი ღონისძიება
	სარაჯიშვილის ქუჩის (სანიაღვრეთი) კეთილმოწყობა	578.0	დაემატა ახალი ღონისძიება
	გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა #28-დან #34-მდე მეჯინისწყლის არხის გასწვრივ კედლების (გზის გამაგრება) მოწყობა	400.0	დაემატა ახალი ღონისძიება
	გონიოს დასახლებაში საპლანტაციო გზის ზედა მონაკვეთში ორი ხიდბოგირის მოწყობა	36.1	დაემატა ახალი ღონისძიება
	მარკოზ აჭარელის მესამე შესახვევი N39-ის მიმდებარედ გზის მონაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები	483.0	დაემატა ახალი ღონისძიება (მრავალწლიანი შესყიდვა)
	თამარ მეფის გამზირის მე-4 შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოების		
<b>02 01 06</b>	<b>გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა</b>	<b>180.0</b>	
	ქალაქის გარე განათების კაპიტალური სამუშაოები	180.0	დაემატა ახალი ღონისძიება
<b>02 03 04</b>	<b>ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება</b>	<b>8,000.0</b>	
	KfW ბანკთან შეთანხმების შესაბამისად პროექტის დამატებითი თანადაფინანსება	8,000.0	იზრდება ღონისძიების დაფინანსება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე
<b>02 03 05</b>	<b>სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა</b>	<b>344.5</b>	
	აკაკი შანიძის ქუჩის III ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა	130.9	დაემატა ახალი ღონისძიება
	დიდაჭარის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა	213.6	დაემატა ახალი ღონისძიება

02 04 04	<b>საცხოვრებელი სახლების მშენებლობა</b>	<b>-230.0</b>	განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
	საცხოვრებელი III და IV კორპუსების მშენებლობა (ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის N78ა-ს მიმდებარედ ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ("ა" და „ბ“ კორპუსები) მშენებლობა	-230.0	მცირდება ღონისძიების დაფინანსება (ღონისძიება აღნიშნული თანხით დაფინანსდა 2019 წლის ბიუჯეტით)
03 02 02	<b>პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა</b>	<b>500.0</b>	განმახორციელებელი - ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
	ინსარიდის ქუჩა #3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა	500.0	დაემატა ახალი ღონისძიება (მრავალწლიანი შესყიდვა)
03 01 01	<b>ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა</b>	<b>600.0</b>	
	საქონელი და მომსახურება	600.0	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
02 06 01	<b>ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო</b>	<b>53.2</b>	
	საქონელი და მომსახურება	33.3	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
	სატრანსპორტო საშუალების შექმნა	19.9	იზრდება ღონისძიების დაფინანსება (სამეურნეო და სარეაბილიტაციო სამუშაების მიზნით)
03 02 03	<b>ქალაქის გამწვანების ღონისძიებები</b>	<b>-55.1</b>	
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება		
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია)	-55.1	მცირდება ღონისძიების დაფინანსება
05 01 01	<b>მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>175.3</b>	
	საქონელი და მომსახურება	175.3	დაემატა ახალი ღონისძიება ფუტსალი და საპლაჟო ფეხბურთის ხელშეწყობა -245.0 ათასი ლარი, ასევე აღნიშნულ ქვეპროგრამას გამოეყო ღონისძიებები და დაემატა ახალი ქვეპროგრამა ბათუმი - სპორტის ქალაქი 60.0 ათასი ლარი
05 01 03	<b>ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>-2.0</b>	
	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების პერონალის სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით გადამზადება	-2.0	ამოღებულ იქნა ღონისძიება
05 01 04	<b>სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა</b>	<b>108.3</b>	
	კლუბის განვითარების ხელშეწყობა	108.3	იზრდება ღონისძიების დაფინანსება (ზრდა განპირობებულია საკალათბურთო კლუბის სუბსიდირების ზრდით)
05 01 08	<b>ბათუმი - სპორტის ქალაქი</b>	<b>60.0</b>	
	საქონელი და მომსახურება	60.0	ღონისძიება დაემატა ახალი ქვეპროგრამა
05 02 01	<b>ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი</b>		
	მართვა და ადმინისტრირება		
	<i>შრომის ანაზღაურება</i>	25.2	
	<i>საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები</i>	-54.7	
	სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის სექციის განვითარება		
	<i>შრომის ანაზღაურება</i>	4.4	
	<i>ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება</i>	5.0	
	სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის სექციის განვითარება		
	<i>შრომის ანაზღაურება</i>	10.1	
	სანიზოსნო სპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა		
	<i>ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება</i>	10.0	
06 02 04	<b>მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება</b>	<b>64.0</b>	
	სუბსიდიები	64.8	განხორციელდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუხლებს შორის თანხების ცვლილება
	სოციალური უზრუნველყოფა	-64.8	
	ჰოსპისი ბინაზე	64.0	დაემატა ახალი ღონისძიება (50 ბენეფიციარი)
08 01 02	<b>ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო</b>	<b>72.6</b>	
	შრომის ანაზღაურება		2 ერთეულით იზრდება სამტატო ერთეული
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (ერთიანი საინფორმაციო პორტალის უზრუნველყოფა)	45.6	2 ერთეულით იზრდება სამტატო ერთეული
	მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალების შექმნა	27.0	იზრდება ღონისძიების დაფინანსება
		<b>13,170.00</b>	